აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

დადგენილება № 02/2006

30 მარტი 2006 წელი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის მოხელეთა შესარჩევი კონკურსის წესისა და საკონკურსო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონისა და "საკონკურსო-საატესტაციო კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 25 მარტის №174 ბრძანებულების თანახმად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ა დ გ ე ნ ს:**

1. დამტკიცდეს "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის მოხელეთა შესარჩევი კონკურსის წესი და საკონკურსო კომისიის დებულება".

2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ი. ჯავახიშვილის ქ. №5) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

კომისიის მდივანი

დამტკიცებულია
უმაღლესი საარჩევნო კომისიის
2006 წლის 30 მარტის № 02/2006
დადგენილებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის მოხელეთა შესარჩევი კონკურსის წესისა და საკონკურსო კომისიის დებულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის (შემდგომში-უსკო) აპარატის მოხელეთა შესარჩევი კონკურსის წესისა და საკონკურსო კომისიის დებულება შემუშავებულია საქართველოს "საარჩევნო კოდექსის" "უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონისა და "საკონკურსო-საატესტაციო კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 25 მარტის №174 ბრძანებულების საფუძველზე და განსაზღვრავს კონკურსის ჩატარების წესსა და საკონკურსო კომისიის საქმიანობის პირობებს.

მუხლი 1. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია უსკოს აპარატის მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე დასანიშნი მაღალკვალიფიციურ პირთა შერჩევა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
1. კონკურსი – უსკოს აპარატის მოხელეთა შესარჩევი კონკურსი;
2. კონკურსანტი – უსკოს აპარატში ვაკანტური თანამდებობის დაკავების მსურველი პირი;
3. საკონკურსო კომისია – უსკოს აპარატში დასაკავებელი ვაკანტური თანამდებობისთვის წაყენებულ მოთხოვნებთან კონკურსანტის შესაბამისობის შემფასებელი კომისია;
4. სამდივნო – კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით შექმნილი სპეციალური ჯგუფი;
5. საკონკურსო დოკუმენტაცია – კონკურსისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია.

მუხლი 3. კონკურსის გამოცხადება და ჩატარების წესი.1. კონკურსი და საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადები ცხადდება უსკოს თავმჯდომარის განკარგულებით.
2. კონკურსის განცხადება ქვეყნდება ბეჭდვით ორგანოში. განცხადება შესაძლებელია გაკეთდეს მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით.

3. კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრება ამ დებულებით. კონკურსანტი კონკურსში მონაწილედ ჩაითვლება ამ დებულების შესაბამისად სამდივნოში საკონკურსო დოკუმენტაციის რეგისტრაციის შემდეგ.
4. არასწორად, არასრულყოფილად ან რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია არ განიხილება.

მუხლი 4. სამდივნო

1. კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით უსკოს თავმჯდომარე განკარგულებით ქმნის სამდივნოს.
2. სამდივნო იქმნება უსკოს აპარატის თანამშრომლებისგან, რომელსაც ხელმძღვანელობს უსკოს აპარატის უფროსი.
3. სამდივნოს ევალება კონკურსის საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა, მათ შორის, კონკურსანტთა საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება, შემოწმება და რეგისტრაცია.
4. საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენის ვადის ამოწურვის შემდეგ სამდივნო კონკურსანტთა საკონკურსო დოკუმენტაციას წარუდგენს საკონკურსო კომისიას.
5. კონკურსის დამთავრების შემდეგ სამდივნო საქმიანობას შეწყვეტს.

მუხლი 5. მოთხოვნები, რომლებიც წაეყენება კონკურსანტებს რეგისტრაციისათვის

1. უსკოს აპარატის მოხელეთა კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს 21 წლის ასაკიდან, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს;
ა) ფლობს სახელმწიფო ენას;
ბ) აქვს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი;
გ) აქვს უმაღლესი განათლება;
2. უსკოს დადგენილებით შეიძლება დაწესდეს დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები უსკოს აპარატის საჯარო თანამდებობის დასაკავებლად;
3. კონკურსანტმა სამდივნოს უნდა წარუდგინოს შემდეგი საკონკურსო დოკუმენტაცია;
წერილობითი განცხადება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:
ა) კონკურსანტის სახელი, გვარი;
ბ) განათლება;
გ) სპეციალობა;

დ) სამეცნიერო ხარისხი (თუ აქვს);
ე) სამუშაო ადგილი და თანამდებობა (თუ აქვს);
ვ) უსკოს აპარატის სამსახურში მოხელის ვაკანტური თანამდებობა, რომლის დაკავებაც მას სურს;
ზ) მისამართი (საქართველოს მოქალაქის პირადობის (რეგისტრაციის) მოწმობის შესაბამისად);
თ) საკონტაქტო მისამართი და ტელეფონის ნომერი (თუ აქვს);

4. განცხადებას ხელს უნდა აწერდეს კონკურსანტი და მას უნდა დაერთოს:
ა) შრომითი ბიოგრაფია და საარჩევნო ადმინისტრაციაში მუშაობის გამოცდილების აღწერა (თუ ასეთი გამოცდილება აქვს);
ბ) განათლების დამადასტურებელი საბუთის ასლი;
გ) სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი საბუთის ასლი (თუ აქვს);
დ) შრომის წიგნაკის ასლი (თუ აქვს);
ე) 2 ცალი ფერადი ფოტოსურათი ზომით 3X4;
ვ) პირადობის (რეგისტრაციის) მოწმობის ან პასპორტის ასლი;
ზ) საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის ასლი.

5. კონკურსანტს, უფლება აქვს განცხადება შეიტანოს მხოლოდ ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე.
ა) თუ პირმა განცხადება შეიტანა უსკოში არსებულ ერთზე მეტ ვაკანტურ თანამდებობაზე, ასეთ შემთხვევაში საკონკურსო დოკუმენტაცია არ განიხილება.
ბ) დოკუმენტების სრულყოფილად წარმოდგენის შემდეგ კონკურსანტი მიიღებს სარეგისტრაციო ნომერს.
გ) კონკურსანტი, რომელიც საკონკურსო გადაწყვეტილებით მიწვეული იქნება გასაუბრებაზე, თან ჰქონდეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, გამოუცხადებლობის შემთხვევაში იგი კონკურსიდან მოიხსნება და მისი კანდიდატურა აღარ განიხილება.

მუხლი 6. კონკურსანტის უფლება შეიცვალოს განცხადებაში მითითებული ვაკანტური თანამდებობა.

კონკურსანტს უფლება აქვს გამოიტანოს განცხადება ან შეცვალოს განცხადებაში აღნიშნული ვაკანტური თანამდებობა შესაბამისი განცხადებით საბუთების წარდგენის ვადის ამოწურვამდე.

მუხლი 7. საკონკურსო კომისიის მიზანი და ფუნქციები.

1. საკონკურსო კომისიის საქმიანობის მიზანია უსკოს აპარატში დასაკავებელი ვაკანტური თანამდებობისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან კონკურსანტის შესაბამისობის შეფასება.

2. საკონკურსო კომისიის წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა განისაზღვრება უსკოს განკარგულებით.
3. საკონკურსო კომისიის ფუნქციებია:
ა) კონკურსანტის პროფესიული ჩვევების, კლასიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პროფესიული თვისებების შეფასება;
ბ) თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირისთვის საკონკურსო კომისიის მიერ შეჩეული პირის წარდგენა;
4. უსკოს აპარატის მოხელეთა კონკურსის დამთავრებისას საკონკურსო კომისია საქმიანობას წყვეტს.

მუხლი 8. საკონკურსო კომისიის შემადგენლობა.

1. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შედიან უსკოს თავმჯდომარე და წევრები.
2. უსკოს თავმჯდომარე ამავდროულად არის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.

მუხლი 9. საკონკურსო კომისიის მუშაობის წესი.

1. საკონკურსო კომისიის სხდომებს თავმჯდომარეობს, წევრთა შორის ფუნქციებს და მუშაობის რეჟიმს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.
2. საკონკურსო კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.
3. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტად ითვლება თავმჯდომარის ხმა.
4. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში საკუთარი ინიციატივით მოითხოვოს კონკურსანტთან გასაუბრება.
5. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და დამსწრე კომისიის წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც აღინიშნება ოქმში.
6. საკონკურსო კომისიის პირველი სხდომა ტარდება უსკოს აპარატის მოხელეთა კონკურსისთვის საჭირო საბუთების წარდგენის ვადის ამოწურვიდან არა უგვიანეს 14 დღისა.

მუხლი 10. საკონკურსო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი.

1. საკონკურსო კომისია კონკურსანტთა დაუსწრებლად წყვეტს ყოველი კონკურსანტის შესაბამისობას ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებთან.
2. გადაწყვეტილების მისაღებად საკონკურსო კომისია ატარებს კენჭისყრას.
3. კონკრეტულ ვაკანტურ თანამდებობაზე უსკოს აპარატის მოხელეთა კონკურსში მონაწილე ყველა კონკურსანტს კენჭი ცალცალკე ეყრება.

4. გადაწყვეტილება მიიღება ამ დებულების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.
5. ვაკანტურ თანამდებობაზე არჩევისას უპირატესობა ენიჭება იმ კონკურსანტს, რომელსაც გააჩნია საარჩევნო ადმინისტრაციაში მუშაობის მეტი სტაჟი, იმავდროულად ყურადღება მიექცევა კანდიდატის საქმიან თვისებებს, რეპუტაციას და სერთიფიცირების შედეგად მიღებულ ქულათა რაოდენობას.

მუხლი 11. უსკოს აპარატის მოხელეთა კონკურსის შედეგი.

1. უსკოს თავმჯდომარე ვაკანტურ თანამდებობაზე საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეულ პირს თანამდებობაზე ნიშნავს განკარგულებით.
2. საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეული კონკურსანტი თანამდებობაზე დაინიშნება, თუ იგი საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან 7 დღის განმავლობაში უსკოს თავმჯდომარის სახელზე წარადგენს:
ა) წერილობით თანხმობას თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ;
ბ) შრომის წიგნაკს (თუ აქვს);
გ) სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობას;
დ) სამედიცინო დასკვნას ჯანრმთელობის მდგომარეობის შესახებ.

მუხლი 12. ხელახალი კონკურსი.

1. უსკოს აპარატში ხელახალი კონკურსი გამოცხადდება იმ ვაკანტურ თანამდებობაზე, რომელზეც საკონკურსო კომისიის მიერ ვერ იქნა შერჩეული ვერც ერთი კონკურსანტი, ან გამოცხადებულ კონკურსში არავინ მიიღებს მონაწილეობას.
2. ხელახალი კონკურსის თაობაზე განკარგულებას გამოსცემს უსკოს თავმჯდომარე.
3. ხელახალი კონკურსის პირობები განისაზღვრება ამ დებულებით

მუხლი 13. დავები კონკურსთან დაკავშირებით.

კონკურსთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 14. დასკვნითი დებულებანი.

საკითხები, რომლებიც ამ დებულებით არ არის მოწესრიგებული, განისაზღვრება საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.